ცნობის ფურცელი

№ 2133 შაბათი, 26 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2133

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქრისტინე გიორგის ასული და ყარამან მერაბის ძე შავდია, სოფიო ყარამანის ასული შავდია-დოლაბერიძისა, ანანა ყარამანის ასული და ვარლამ ყარამანის ძე შავდია აცნობებენ ნათესავთ, და ნაცნობთ, რომ პირველთა—საყვარელის შვილების და უკანასკნელთა ძვირფასის დების

ალექსანდრა და ლიზა შავდიების

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ოცდა-შვიდ (27) აპრილს დ. ხონში მაცხოვრის ტაძარში. (ნ. 3—3)

„ქართული დრამატიული საზოგადოების"

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

სამს პრემიას

300 მან., **200** მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილი იქმნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას" ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენიდან მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (10—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ვ. ს. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ზ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ბახლუშინიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუხამლოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათ $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. ზელდიმანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხობოლიევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყელ-ყურისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრიოფები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგჯანიანის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 374 (7

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საქველმოქმედო წარმოდგენა.

შაბათს, 26 აპრილს,

ტფილისის რკინის გზის თეატრში სცენისმოყვარეთ-გან წარმოდგენილი იქმნება

დეპოს სამკითხველოს სასარგებლოდ

ციმბირელი

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ო. ლეჟავა, ლომაურისა, როსტომიანი, ჯაბაურისა; ბ-ნი ივანიძე, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ბაქრაძე, თუშმელაშვილი და სხვა.

დასაწყისი 8 საათზე

(ო. 2—2) გამგე ს. დოლიძე

წარმოდგენა 49—11. ტელეფონი 617.

უკანასკნელი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 27 აპრილს, 1903 წ.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას

ოტელლო

ტრაგედია 5 მოქ. ვილიამ შექსპირისა, თარგ. თავ. ივანე მაჩაბლისა.

ამ პიესისთვის საგანგებოდ შეკერილია ახალი ტანისამოსები მოსესიანცის სახელოსნოში და დახატულია ახალი დეკორაციები.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-ის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჰავჰავაძესთან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) ქ ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—15)

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა საყურადღებოდ

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წრევანდელმა საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს, სხვათა შორის, ერთი ფრიად საყურადღებო სარჩიელი, სახელდობრ: რას უნდა მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები 20 ათასი მანეთი?

ეს ფული, როგორც მოგეხსენებათ, ებოძა ჩვენ თავად-აზნაურებს შვილების აღზრდაში დასახმარებლად. მაგრამ აგერ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც უმაღლესი მანიფესტი გამოეცხადა თავად აზნაურობას და, სამწუხაროდ, მან დღემდის ვერ გადასწყვიტა ეს საქმე. იმედია, ეხლა მაინც გადასწყვეტს და ისარგებლებს უმაღლესად ნაბოძების ფულით.

ამ საქმის გადაწყვეტის სიძნელე, სხვათა შორის, მითი უნდა ავსხნათ, რომ ჩვენ თავად-აზნაურებს ძლიერ ბევრი სხვა-და-სხვანაირი საჭიროება აქვთ თავიანთი შვილების ასაზრდელად და არ იცის, რომელ საჭიროებას მისცეს უპირატესობა და დააკმაყოფილოს მოხსენებული ფულით. ზოგნი სტიპენდიების დაარსებას ამჯობინებენ, ზოგნი სამეურნეო სასწავლებლებისას, ზოგნი მოსამზადებელ კლასებისას და სხვანი კიდევ იმ აზრისანი არიან, რომ მოხსენებულ ფულით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებმა დააარსოს თავიანთ შვილებისათვის ერთი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და სხვ.

ეხლა, როგორც ნამდვილად გავიგეთ, იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თავად-აზნაურთაგან ამ კითხვების გამორკვევა, შეუდგენია სხვა-და-სხვა ტიპის სასწავლებლების პროექტები და ბოლოს ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია ურჩიოს თავად-აზნაურთა მომავალ საზოგადო კრებას უმაღლესად ნაბოძების ფულით დააარსოს ერთი საკუთარი სრულ-უფლებიანი გიმნაზია მოსამზადებელ კლასებით.

ვინც კარგად იცის ჩვენი მშობლების ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა თავიანთ შვილების აღზრდის შესახებ, ვფიქრობთ, სიამოვნებით მიეგებება კომისიის გადაწყვეტილებას. მართალია, ჩვენ თავად-აზნაურებს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სხვაც ბევრი გაჭირვება ადგია კისერზე, მაგრამ 20 ათასი მანეთით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, ხოლო სხვა საჭიროებათა შორის შეუძლებელია დღეს უპირატესობა არ დაუთმოთ საშუალო სასწავლებლის შეძენას.

ვინ არ იცის, რომ ყოველ წელს ჩვენი მშობლები უკანასკნელ სახსარს ანდომებენ თავიანთ შვილების მომზადებას, შემდეგ მიჰყავთ მთავრობის სასწავლებლებში იმ იმედით, რომ როგორმე მიაღებინონ იგინი და ხარჯმა და შრომამ ამაოდ არ ჩაუაროთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასში ერთს თუ გაუღიმებს ბედი და ეღირსება შვილის მიღებას; დანარჩენები თავიანთი შვილებით გაწბილებულები და დადარდიანებულები ჰბრუნდებიან უკან, რადგან მთავრობის სასწავლებლებში თავისუფალი ადგილი აღარ მოიპოვება. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა. ცალკე ხარჯი ეკარგებათ და ცალკე ყმაწვილები წლოვანების გამო დროს ჰკარგავენ და სამუდამოთ უსწავლელნი რჩებიან! მომავალში ჩვენს მშობლებს ადვილად შეუძლიათ იხსნან თავი ამ სამწუხარო მდგომარეობისაგან, უკეთუ მათ საკუთარი გიმნაზია ექნებათ გამართული, სადაც შესაძლებელია 500 ყმაწვილი მოთავსდეს. ამასთანავე ჩვენ თავად-აზნაურობას აქვს კიდევ საკუთარი „სათავად-აზნაურო სკოლა" სენაკის განყოფილებით, რომლებშიაც 500 მეტი ყმაწვილი სწავლობს. მაშასადამე მომავალში 1000 მოსწავლე ყმაწვილის საკუთარი ბინა მაინც ექნება და ეს ხომ თითქმის სრულიად საკმარისი იქნება მით უმეტეს, რომ ზოგნი, როგორც ეხლა, მთავრობის სხვა-და-სხვა სასწავლებლებშიაც შევლენ.

რასაკვირველია, სრული გიმნაზიის დაარსება პირველ წელშივე არ მოხერხდება, მაგრამ სამი მოსამზადებელი და ერთი პირველი კლასი რომ გაიხსნას, მაინც კიდევ პირველ წელს 200 ყმაწვილს შეუძლია შევიდეს და ისწავლოს. ამას გარდა ჩვენ საკუთარ გიმნაზიას მომავალში ის მნიშვნელობაც ექნება, რომ იმ ყმაწვილებს, რომლებიც სათავად-აზნაურო სკოლაში პროგიმნაზიულ კლასებს გაათავებენ და მთავრობის სასწავლებლებში ადგილს ვერ იშოვნიან, ადვილად შეუძლიათ ჩვენს გიმნაზიაში გადავიდნენ.

მართალია, უმაღლესად ნაბოძები ფული არ ეყოფა განზრახულ სათავად-აზნაურო გიმნაზიას, მაგრამ 500 ყმაწვილიდან რომ 100 ღარიბი მოწაფე სრულიად განვათავისუფლოთ სწავლის ფულისაგან, მაინც კიდევ დარჩება 400, ხოლო თავისუფალმა მათგანმა რომ 4 თუმანი შემოიტანოს წელიწადში, შესდგება 16 ათასი მანეთი. ამ ანგარიშით ჩვენ გვექნება სულ 36 ათასი მანეთი, რაც სრულიად საკმაო იქნება ხარჯის დასაფარავად. ფრიად სასურველი იყო მომავალ გიმნაზიასთან პანსიონიც გვქონოდა ღარიბ მშობლების შვილებისათვის, მაგრამ ეს კეთილი საქმე ჯერჯერობით შეიძლება გადავდვათ, მინამ ჩვენ თავად-აზნაურობას რაიმე სხვა წყარო არ აღმოუჩნდება ამ კეთილი საქმისათვის.

პირველ წლებში, მინამ გიმნაზია დასრულდებოდეს, 20 ათასი მანეთიდან სასწავლებელს დიდ-ძალი ფული დარჩება და ამ ფულით ადვილად შესაძლებელია სასწავლებელიც კარგად მოეწყოს და ადგილიც შევიძინოთ სასწავლებლის შენობისათვის. ამას გარდა, უკეთუ თავად-აზნაურთა თხოვნა შეიწყნარა მთავრობამ და უმაღლესად ნაბოძები ფული იმ დროს მისცა, როცა უმაღლესი მანიფესტი გამოცხადდა, მაშინ მათ იმოდენი თანხა ექნებათ, რომ ადვილად შეიძლება, საკუთარი შენობაც აგონ თავიანთ საკუთარ სასწავლებლისათვის.

ბოლოს ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ასეთ სასწავლებლის დაარსებას მთავრობაც სიამოვნებით მიეგებება თავის მხრით, რადგანაც თვით რუსეთის თავად-აზნაურობას აქვს ზოგიერთ გუბერნიებში ასეთი საკუთარი გიმნაზიები და ინსტიტუტები.

მოხუცი შედაგოგი.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. მთავრობა დიდის ენერგიით შეუდგა ნება-დაურთველ კონგრეგაციების დახურვას, თანახმად პარლამენტის უკანასკნელ დადგენილებისა. ბევრი კონგრეგაცია უპროტესტოთ დამორჩილდა მთავრობის განკარგულებას, მაგრამ ზოგ ადგილას დიდი წი-

ნააღმდეგობა გაუწიეს კანონის აღმასრულებელთ.

ეს კლერიკალური მანიფესტაციები საშიშს არაა წარმოადგენენ ეხლანდელ მთავრობისათვის, მაგრამ ზოგი რადიკალიც კი არ არის სავსებით კმაყოფილი კომბის სამინისტროს პოლიტიკისა: მთავრობას შეუძლია კონგრეგაციები დახუროს, ურჩი დასაჯოს, ეპისკოპოსებს ჯამაგირები წაართვას და პასუხის გებაშიაც მისცეს, მაგრამ ეს არ შველის საქმეს რადიკალურად —„დევნილები“ მორწმუნე კათოლიკების თვალში წამებულის გვირგვინით იმოსებიან და გავლენასაც მეტს იძენენ. მართალია, ძალა რომ კლერიკალების ხელში იყოს, ნამდვილი „დევნა“ და „წამება“ მაშინ იქნება, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას დემოკრატიას სასტიკი ღონისძიებანი იხმაროს. რესპუბლიკელების ანტიკლერიკალური პოლიტიკა უნდა იყოს უსრულესი თავისუფლება სინიდისისა და სარწმუნოებისა —ვისაც როგორი უნდა, ისეთი ეკლესია აიშენოს, ისეთი სარწმუნოება იქადაგოს, თუნდ მოედნებზედაც, მაგრამ ერთის პირობით კი— სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ახალთაობის სერიოზულ სამეცნიერო აღზრდაზე. ნუ იქნება აკრძალვა „ნებადაურთველ“ ეკლესიებისა—ყველასა და ყოველს ნება უნდა ჰქონდეს მათი აშენებისა, მაგრამ ამასთანავე ნუ იქნება სარწმუნოებათა ხარჯთ-აღრიცხვაც. ასოციაციების კანონი ნებას აძლევს რელიგიურ ასოციაციებს აიშენონ ეკლესიები, ისე, როგორც რესპუბლიკელებს ნებას აძლევს გამართონ სახალხო უნივერსიტეტი. დეე ისარგებლონ იმ უფლებით როგორც მოისურვებენ.

სწორედ ამ აზრებით არის გამსჭვალული პრესანსეს პროექტი სახელმწიფოს და ეკლესიის დაშორებისა: თავისუფალი ეკლესია თავისუფალ სახელმწიფოში. ნუ იქნებიან სამღვდელო პირები სახელმწიფოს მოხელეებად; თვითონ მრევლმა იცის, როგორ მოაწყოს სარწმუნოების საქმე.

პრესანსე, სხვათა შორის, აგონებს თავის კოლეგებს, რომ პრინციპიალურად არც ერთი რესპუბლიკის მომხრე პარტია არ არის წინააღმდეგი სახელმწიფოს და ეკლესიის დაშორებისა. მართალია, ოპორტიუნისტებმა საქმე მეტად გააჭიანურეს—ჯერ კიდევ ადრეა ასეთი რეფორმაო, მაგრამ უკანასკნელ ამბებმა—ეპისკოპოსებისა და საზოგადოთ სამღვდელოების პროტესტები მთავრობის კანონიერ განკარგულებათა წინააღმდეგ—ზომიერ და მეტად ფრთხილ რესპუბლიკელებსაც კი დაანახვეს, რომ შეუძლებელია დარჩეს არსებული დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შუა. რაც ადრე მოისპობა ეს დამოკიდებულება, რაც ადრე წაერთმევა ეკლესიას ეხლა არსებული მატერიალური და საზოგადოებრივი უპირატესობანი და მიენიჭება ის სრული თავისუფლება, რომელსაც იგი ასეთის დაჟინებით თხოულობს, მით უფრო კარგი იქნება დემოკრატიისათვის.

კლერიკალურ პარტიის უბედურებაც ის არის, რომ ეშინია ასეთის სრულის თავისუფლებისა: არსებული დამოკიდებულება დარჩეს, მაგრამ სამღვდელოებას იმის უფლებაც უნდა ჰქონდეს არ დაემორჩილოს მთავრობის განკარგულებასო.

◆ ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულება გაუმჯობესდა. ფაშოდის ისტორიის შემდეგ, როცა საფრანგეთი იძულებულ შეიქმნა მდ. ნილოსის სათავეები ინგლისელებისათვის დაეთმო, ინგლისსა და საფრანგეთს შუა დიდი უნდობლობა იყო გამეფებული. ეს ორი დაწინაურებული უგანათლებულესი სახელმწიფო გადაკიდებული იყვნენ და ბევრი საერთაშორისო საქმე ამის მიზეზით სრულიად არ გათავებულა.

ახლა ცხადი ნიშნებია იმისა, რომ გარემოება შეიცვალა. ინგლისის მეფე ედუარდ VII პარიზში მივიდა. „ამ ოფიციალურ ვიზიტს“ დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას აწერენ. ელიან, რომ იგი ბოლოს მოუღებს იმ უთანხმოებათ, რომელიც არსებობს ორ უგანათლებულეს ხალხის შუა... ცნობილია, რომ საფრანგეთში კარგა ძლიერი პარტიაა, რომელიც ინგლისთან დაახლოვების მომხრეა. სხვათა შორის, ამ პარტიას ეკუთვნის კლემანსო და ზომიერი რიბოც. ესენი დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ პოლიტიკურ დაწესებულებებით, ჰუმანურ მიმართულებით და მაღალ კულტურულ როლით ინგლისი ბევრად უფრო ახლოა საფრანგეთთან, ვიდრე ევროპის ყველა დანარჩენი მონარქიული სახელმწიფოები; ამიტომაც ინგლისი უნდა იყოს მისი ბუნებრივი მოკავშირეც. ამ კავშირის აუცილებლობა მით უფრო ცხადია, რომ საფრანგეთის მრეწველობას არა ჰყავს ინგლისისთანა მუშტარი: უკიდურესს კრიზისის დროსაც კი ინგლისს ათას ორასი მილიონის საქონელი უყიდნია საფრანგეთიდან.

„ნაციონალისტები“ კი სულ იმას ამტკიცებენ, რომ ინგლისი ძველი და შეურიგებელი მტერია საფრანგეთისა: სურს მისი განდევნა აფრიკიდან და ხმელთა შუა ზღვიდან. ინგლისელი პატრიოტებიც, ჯინგოდ წოდებული, ეგრევე იქცეოდნენ და თითქოს საბუთს აძლევდნენ საფრანგეთის შოვინისტებს.

სულ სხვა რიგად იქცევიან ორივ ქვეყნის მუშები: ესენი ადრევე მიხვდნენ ორ მეზობელ კულტურულ ერის ინტერესების სოლიდარობას, ეხმარებიან ერთმანერთს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების ბრძოლაში და იმ დროს, როცა საფრანგეთის დემოკრატია ომის შიში იყო ფაშოდის გამო, ინგლისის მუშებმა საგანგებო დელეგატები გაუგზავნეს თავის ფრანგ ამხანაგებს და შეუთვალეს, რომ მთელი თავის ძალ ღონით წინააღუდგებიან ორ ძმა ხალხ შორის ომიანობის ატეხას.

ახალი ამბავი

◆ 1905 წლის 17 იანვარს სრულდება **ასი წელიწადი**, რაც ხარკოვის უნივერსიტეტი არსებობს. სტუდენტთა ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია შეიმუშაოს პროგრამა იუბილეისა. სხვათა შორის, ამ უნივერსიტეტის სტუდენტად ნამყოფებს აზრათა აქვთ ფული შეჰკრიბონ ღ დააწესონ სტიპენდიები. ამისთვის პოლტავაში 30 აპრილისთვის დანიშნულია სტუდენტად ნამყოფთა კრება. ამ საქმის ინიციატორებმა მიჰმართეს სტუდენტებად ნამყოფ კავკასიელებსაც და სთხოვეს მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებულ საქმის განხორციელებაში და ფულით დახმარება გაუწიონ. რადგან 30 აპრილისთვის ყველას არ შეუძლიან პოლტავაში ჩასვლა, სთხოვენ კავკასიელებს აცნობონ წერილობით თავიანთი აზრი და ის, თუ რამდენის შეწირვა შეუძლიანთ.

◆ **ქუჩების მოკირწვლის** საქმისთვის არჩეულმა კომისიამ 24 აპრილის სხდომაზე გადასწყვიტა დააჩქაროს საქმე და მალე წარუდგინოს საბჭოს მოხსენება ამის გამო. მოკირწვლის გეგმის შესადგენად კომისიამ აირჩია მცირე კომისია, რომელსაც დაავალა ერთ თვეში საჭირო მოხსენებისა და ამ გეგმის შედგენა. მცირე კომისიაში აირჩიეს: ტ. ა. ენფიანჯიანცი, ა. ს. ბაბოვი, ინჟენერები ლენჩევსკი და ფლორენსკი.

◆ ხუთშაბათს, 24 აპრილს, მოხდა ტფილისის **საფხიზლის საზოგადოების წლიური კრება**, თავ. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 40 წევრი. ვიდრე კრება საქმეების განხილვას შეუდგებოდა, ბ-ნმა ნ. ელიავამ უსაყვედურა საზოგადოების კომიტეტს, რომ წევრებს დაბეჭდილი ანგარიში არ დაურიგდათ, რათა წაეკითხნათ გულ დასმით და გაეცნოთ საქმეები; ამიტომ ბ-ნმა ელიავამ მოითხოვა, კრება ანგარიშის დაბეჭდვამდე გადადებულიყო. ელიავას აზრს მიემხრნენ ა. ბ. ევანგულოვი, მ. დეპურიასი და სხვანი; ბევრი წინააღმდეგი იყო კრების გადადებისა, მაგრამ ბოლოს მაინც დაადგინეს, გადაიდოს კრება. კომიტეტს დაევალა ანგარიშის დაბეჭდვა და დარიგება.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში პირველ მაისიდან შემოღებული იქმნება **ახალი შტატები**. შტატების შეცვლას დიდი გავლენა ექმნება დასახელებულ გამგეობის მომავალ მოქმედებაზე. დღემდე დროებით შტატები იყო. გამგეობას საკმაო მოხელენი არა ჰყვანდა და ამიტომ საქმეს ვერ უძლევდნენ. შტატის გადიდებასთან ერთად ჯამაგირებიც მოუმატეს, ასე რომ შესაძლებელი შეიქმნა სპეციალისტების მოწვევა.

◆ 24 აპრილს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, სასანიტარო სამკურნალო საბჭოსა და ხმოსან ექიმებისა იმ **საავადმყოფოს შესახებ** მოსალაპარაკებლად, რომელიც არამიანცის მიერ შეწირულ ფულით უნდა აშენდეს. სასანიტარო სამკურნალო საბჭოს აზრით, უნდა აშენდეს სამკურნალო შინაგან სნეულებით ავადმყოფთათვის. ექიმმა მ. გედევანიშვილმა წარუდგინა კრებას კანსაკუთრებული მოსაზრება. იგი სულით ავადმყოფთა სადგომის აგებას ამჯობინებს. კრებამ ბოლოს დაადგინა მიიღოს სასანიტარო სამკურნალოს საბჭოს წინადადება, ისე კი, რომ საავადმყოფოში საქირურგიო განყოფილება არ დაარსდეს.

◆ ქალაქის მოურავმა შეატყობინა სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, რომ ქალაქს შემდეგი ცნობები სჭირია მიიღოს სატეხნიკო საზოგადოებისაგან **საჰიდრავლიკო სადგურის შესახებ**: 1) სპეციალისტების აზრი იმის გამო, თუ რამდენად აღსასრულებელია ტეხნიკის მხრით უსახელო საზოგადოების პროექტი და აგრეთვე რა უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის: უსახელო საზოგადოების საჰიდრავლიკო სადგურიდან მიიღოს ელექტრონული ძალა თუ იმ სადგურიდან, რომელსაც საზოგადოება „ჰელიოს“-ი გამართავს ქალაქის ქუჩების განათებისათვის; 2) რამდენად ხელსაყრელია ქალაქისათვის დაეთანხმოს უსახელო საზოგადოების პირობებს ჰიდრავლიურ სადგურის ასაგებად. უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ. რიძინსკი თანახმაა წარუდგინოს ტეხნიურ საზოგადოებას ინჟ. მეცის მიერ შედგენილი პროექტი სადგურისა.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინჟენერ-ტეხნიკოს ნ. ს. ეგოროვს, რომ საქმე **საჰიდრავლიკო სადგურის** გამართვის შესახებ გადაეცა ტფილისის სატეხნიკო საზოგადოებას და სთხოვა ამ საქმის შესახებ სატეხნიკო საზოგადოებაში მოხსენების წარდგენა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობაში მთავრობის მიერ რევიზიის მოხდენის შემდეგ თვით-მმართველობას ნება აღარა აქვს **ქალაქის თავისუფალი ფული** კერძო საკრედიტო ბანკებში შეინახოს, თუნდაც ეს ბანკები სარგებელს სახელმწიფო ბანკზე მეტს იძლეოდნენ. ქალაქის გამგეობას ეს საზარალოდ მიაჩნია, ამიტომ აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ ნება მიეცეს ფული ისევ კერძო ბანკებში შეინახოს. ჩვენის ქალაქის გამგეობა შეეკითხა სხვებისას, სად ინახავენ ფულს. გუშინ პეტერბურგის გამგეობამ შეატყობინა, რომ თავისუფალ თანხებს კერძო ბანკებში ვინახავთო.

◆ ხვალ, 27 აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, დანიშნულია „**შრომის მოყვარეობის სახლის**“ ტფილის სამზრუნველოს წევრთა წლიური კრება. კრებამ, რომელიც მოხდება ამ **სამზრუნველოს სადგომში** (ავჭალის ქუჩა, №-113) უნდა განიხილოს: 1) მოკლე მოხსენება „შრომის მოყვარეობის სახლის“ სამზრუნველოსათვის ახალ შენობის აგების შესახებ; 2) „შრომის მოყვარეობის სახლის“ გამგეობის 1902 წლის მოღვაწეობის ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 4) არჩეულ უნდა იქმნან გამგეობის ახალი წევრები ნაცვლად ა. ი. მანთაშევისა, ბ. სულთან კრიმ-გირეისა და გ. ს. კოვალევისა, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ. თუ დანიშნულ დღეს კრება ვერ შესდგა, გადაიდება მაისის 11-სათვის, როდესაც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ უწმ. სინოდის განკარგულებით, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ბ-ნი ტიხომიროვი ტფილისის სასულიერო სემინარიის **რევიზიის მოსახდენად**.

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან.

X

ინგლისის კრედიტი შერყეულია.—გერმანიამ კიდევ ერთხელ დაამცირა ინგლისის დიპლომატია.—ინგლისელ ტრედ-უნიონების კომისიის მოხსენება ამერიკის მრეწველობაზე.—მორლეის აზრი შინაგან პოლიტიკაზე.

ინგლისის სიმდიდრე, იმისი პირველობა მრეწველობასა და მსოფლიო-ვაჭრობაში, იმისი კრედიტი, ყველას ეგონა, საუკუნოდ შეურყეველი უნდა ყოფილიყო. ინგლისი მთელ ქვეყნიერობის მრეწველობას უმართავდა ფულით ხელსა და ეხლაც უმართავს. მთელ ქვეყნიერობაზე არავინაა, რომ ინგლისის ფული არ ემართოს. ყველა სახელმწიფოები და ერები ხარჯს უხდიან ინგლისს: ფულის სარგებელსა და დივიდენდებს აძლევენ. ინგლისს იმდენი ფული აქვს დაბანდებული უცხო სახელმწიფოების სამრეწველო საქმეებში, რომ ამ ფულის შემოსავალი 800 მილიონ მანეთს აღემატება... და აი ამისთანა სახელმწიფოს კრედიტი უცებ შეირყა: ინგლისის ბანკის კონსოლები ტრანსვაალთან ომამდე 109-ად და უფრო მეტადაც გადიოდნენ, ეხლა კი ამათმა ფასმა ისე დაიწია, რომ 91-ად და თითქმის 89 ად ძლივს და გადიან.

ასეთი დაბალი ფასი კონსოლებს მხოლოდ 1865—66 წლებში ჰქონდა, როცა ინგლისს კინაღამ ომი არ მოუხდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან; ყირიმის ომის დროსაც კი ასე არ დაწეულა კონსოლის ფასები.—რით უნდა აეხსნათ ეს ამბავი, კონსოლის ფასები რად დაეცა ასეო?—ჰკითხულობენ ფინანსისტები, საქმის ხალხი და პოლიტიკური მოღვაწეები. წარმოება არ შემცირებულა, გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობაც ძლიერდება, მართალია არც თუ ძალიან სწრაფად ძლიერდება, მაგრამ მაინც ძლიერდება; მაშ საიდან გაჩნდა ეს მეხი და რა გავლენას იქონიებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზეო?

— როგორ და რა გავლენას იქონიებს ეს კრედიტის დაცემა ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობაზეო?—ამაზე კარგი პასუხი მისცათ ერთმა საუკეთესო ფინანსისტმა კონსერვატორმა დეპუტატმა ვინსენტმა.—აი რა გავლენას იქონიებსო: ჩვენ რომ ომი მოგვივიდეს ვისთანმე, მაშინ ფული 5-ით და იქნება 10 და 12%-ით მეტად უნდა ვისესხოთ, სინამ შეერთებული შტატები და საფრანგეთი იღებენ; გერმანია და ჩვენი მოცილე რუსეთიც კი უფრო კარგის პირობით იშოვიან ფულს, ვიდრე ჩვენაო.

— საიდან გაჩნდა ასეთი მეხიო?—ამაზე კიდევ ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა ჰარკორტმა მისცათ პასუხი. 8 წლის წინად, როცა მე ფინანსთა საქმეში რეფორმა მოვახდინე და ჩვენი ვალის თვალსაჩინო ნაწილი მოვიშორე, მაშინ ჩვენმა კრედიტმაც აიწიაო. ამ რეფორმის წინ ჩვენი საქმეები ასეთ კარგ ყოფაში არას დროს არა ყოფილა. მაგრამ მე მაშინვე გავაფრთხილე ჩვენი ქვეყანა, რომ ხალხს მეტი გადასახადის ძლევა აღარ შეუძლიან, რომ გადასახადების მომატება და სახელმწიფო ხარჯების გაძლიერება შეუძლებელია. თქვენ კი, ესე იგი თქვენმა კონსერვატიულმა სამინისტრომ, ყაირათის მაგიერ, 100 მილიონი მანეთი დაურიგა ლენდლორდებსა და სამღვდელოებას; 2 მილიარდი კიდევ უსარგებლო და თავ-ლაფ დამსხმელ ომზე დახარჯა. სახელმწიფო ვალსაც ამოდენა ფული მოემატა. ესეც არ იკმარეთ. ევროპის სახელმწიფოების სენიც გადაგედოთ: ბიუროკრატია და ჯარი გააძლიერეთ და მმართველობის ყოველწლიური ხარჯი 1,300 მილიონიდან 1,800 მილიონ მანეთამდე ასწიეთ! ამიტომ იძულებული იყავით ღარიბ ხალხისთვის გადასახადები მოგემატებინათ და პურისა, შაქრისა და სხვა საქონლისათვის ბაჟები დაგედვათ.. ეხლა კი თქვენვე ჰკითხულობთ: რა უბედურებაა, ჩვენი საქმე ასე ცუდად რად მიდისო? ეს კი არაა გასაკვირველი, გასაკვირველი ისაა, რომ ჩვენ ხალხს ასეთი წარმოებითი ძალა ჰქონია, რადგან მხოლოდ ჩვენი ხალხის საკვირველმა წარმოებითმა ძალამ დაგვიხსნა მთლად დალუპვისაგან. მაგრამ თუ გიჟურ ხარჯების და სამხედრო ავანტიურების პოლიტიკამ კიდევ რამდენსამე წელს გასტანა, თუ კარგ ტეხნიკურ სკოლების დაარსების მაგიერ, ეხლანდელ სახალხო სკოლებში მღვდლებს გავაბატონებთ და ისეთ პროგრამას შემოვიღებთ, რომელიც უვიცობის მეტს არას გაავრცელებს,—მაშინ თქვენ ჰნახავთ, რომ ევროპიელ ერთა შორის უკანასკნელ ადგილს დავიჭერთ; აქამდე კი ჩვენ პირველ ხალხად ვითვლებოდით. მაგრამ ეხლაც კი წერა-კითხვის ცოდნა ისე მცირედაა გავრცელებული ჩვენში, რომ მხოლოდ ნახევრად ბარბაროსულ ქვეყნებს თუ ვსჯობივართო.

ვინსენტისა და ჰარკორტის აზრებს მოკლედ გადმოგცემთ და არა სიტყვა-სიტყვით, მაგრამ, იმედი მაქვს, აქედანაც ცხადად სჩანს, თუ რანაირი წერილები იბეჭდებოდა და რა ლა-

◆ 23 აპრილს „ტფილისის კრუჟოკ"-ის სადგომში „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გაიმართა დრამატიული სადამო და კონცერტი. ამ საღამოს ძალიან დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, დარბაზი სულ გაჭედილი იყო. მონაწილეობა მიიღეს არტისტმა ქალმა იავორსკაიმ, იმის დასის მსახიობებმა და მომღერალმა ქალმა შულგინამ. ხალხი დიდის ალტაცებით მიეგება არტისტებს.

◆ ტფილისის სასოვდაგრო ინსტიტუტისთვის, როგორც „ნოვ. ობოზ."-ს გაუგია, ახალ შენობის აგება განუზრახავთ.

◆ ამა წლის იანვრიდან ტფილისი ოთხ ნაწილად გაჰყვეს და გადასახადთა სამის ინსპექტორის ნაცვლად ოთხი დანიშნეს. პირველს აბარია მე 5, 6 და 7 საპოლიციო უბნები, მეორეს—8 და 9 უბნები, მესამეს—1 და 10 და მეოთხეს—2, 3 და 4 უბნები.

◆ მალე გაიხსნება ნავთლუღის მახლობლად მტკვარზე აგებული სოღანლუღის ხიდი. ეს ხიდი რკინის გზის გამგეობამ ააგო მატარებლებისთვის, მაგრამ ხალხსა და ეტლებსაც შეუძლიანთ სიარული.

◆ როგორც გვატყობინებენ, საქართველოს სამხედრო გზის სამუშაოების გამგე ინჟინერი საშაიდო სხვაგან გადაჰყავთ.

◆ ოფიციალურის ცნობებით, მანგლისში ყვავილი მოისპო, ამ ჟამად იქ მხოლოდ ერთი ავადმყოფი დარჩა, ამ სენით შეპყრობილი.

◆ გუშინ ქალაქის ახალმა მოურავმა, სანიტარო-საექიმო ინსპექტორის დასწრებით, დაათვალიერა ქალაქის საყასბოები.

◆ ქუზანხის მოედნის მცხოვრებთ განუცხადებიათ ქალაქის გამგეობისათვის, რომ ამ მოედანზე არსებული სკვერი ყოველდღივ ბაზრის ბიჭებითაა სავსე, რომელნიც ხუცსა და კინკაში ატარებენ დროს, ხმაურობენ და მოსვენებას არ აძლევენ მცხოვრებთ; სკვერით სარგებლობა აღარავის შეუძლია და საჭიროა ზომები იქმნას მიღებული.

◆ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კალიშევი ტფილისიდან ქუთაისს დაბრუნდა.

◆ 24 აპრილს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ი. ფურცელაძეს აღმოუჩენია, რომ ვერაზედ საიდუმლოდ ღორებსა ჰკლავდნენ. დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

◆ დღეისათვის აფიშაში, მურაშკოს თეატრში, დანიშნულია ქართული წარმოდგენა. სცენის მოყვარენი წარმოადგენენ დრამას „დამნაშავე"-ს და ვოდევილს „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ".

◆ ხუთშაბათს, 24 აპრილს, სურამში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას უნდა განეხილა საქმე 18 გლეხისა, რომელთაც ბორჯომის მამულში ხე-ტყის მოჭრილების ზიდვა ჰბრალდებოდათ, მაგრამ, რადგან რამდენიმე მოწმე არ გამოცხადდა, საქმე სხვა დროისათვის გადადეს.

◆ 24 აპრილს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ქიაზბარ შამუგიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა ზოგიერთ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას მარტში შემოსვლია: დასაფასებელი გარდასახადისა 26,465 მან. 97 კაპ. სამრეწველო გარდასახადისა 6316 მან., ქალაქის მიწებისაგან 6565 მან., ქალაქის წყლის მილისა 9168 მან., ხაზინისაგან შემწეობად 65,000 მან. სულ 150,435 მან. 69 კაპ.

◆ 8 მაისისთვის დანიშნულია სხდომა ქალაქის სანიტარო-სამკურნალო საბჭოსი 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

◆ 20 აპრილს, დილის 11½ საათზე, რკინის გზის სადგურის ბაქანზე, ტფილისში, უეცრად გარდაიცვალა მგზავრი ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფელ ფუტიეთის მცხოვრები ნიკოლოზ გიორგობიანი (60 წლისა). გვამი რკინის გზის ლაზარეთში გაჰგზავნეს.

◆ ტფილისის სადგურზე, 21 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, მატარებლების მანევრების დროს, ლიანდაგზე გადადიოდა მღებავი ვასილ ლინაევი, რომელიც ვაგონს ქვეშ მოჰყვა და ძალიან დაშავდა.

◆ როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ, სადგურზე მუშაობის დროს ზეინკლის თანაშემწე კალანდაძე შესამჩნევად დაშავებულა.

◆ ტყიბულიდან გვატყობინებენ: 24 აპრილს ტყიბულის შტოზე, საწირის მახლობლად, მე-41 ვერსზე, გზის დარაჯი, ქუთაისის მაზრის მცხოვრები დავით ქათამაძე სამსახურის შესრულების დროს მატარებელ ქვეშ მოჰყვა, რომელმაც სამი თითი მოსჭრა და თავი დაუშავა. დაშავებული იმავე მატარებლით ქუთაისში გაჰგზავნეს.

◆ 25 აპრილს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა აღმოაჩინა, რომ რიყის ქუჩაზე, ილარიონ გელაშვილის კალბასის ქარხანაში საიდუმლოდ საქონელსა ჰკლავდნენ. ამ დღეს, ღამე, დაეკლათ კამეჩი. ბეითლების შემოწმებით კამეჩის ხორცი უვარგისი აღმოჩნდა.

◆ როგორც გორის მაზრის სოფ. ხაშურიდან გვატყობინებენ, გლეხნი ნიკოლოზ და ალექსანდრე ტაბატაძეები თავს დასცემიან სურამიდან ხაშურში მიმავალს თავიანთსავე მეზობელს დათა ტაბატაძეს, უცემიათ და წაურთმევიათ, რაც გააჩნდა.

◆ როგორც გვატყობინებენ, წარსულ კვირას ახალქალაქის მცხოვრებს მარტიროზ მანუსაჯიევისთვის მოუპარავთ 1500 მან. ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

◆ ტფილისში უეცრად გარდაიცვალა აზოვ-დონის ბანკის განყოფილების მოსამსახურე გრიგორ მეტერსკი. სიკვდილის მიზეზი დანამდვილებით ვერ გაიგეს, ამიტომ ათას რამეს ამბობენ. ცოლმა პოლიციას განუცხადა, რომ განსვენებული სიკვდილის წინ მოწამვლას უჩიოდაო. პოლიციის განკარგულებით, მეტერსკის გვამი ექიმებმა გასჭრეს და გასინჯეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ამიტომ ახალი ანალიზი უნდა მოახდინონ.

რუსეთის ქრონიკა

◆ კარგა ხანია ლაპარაკი ალძრეს იმის შესახებ, რომ რკინის გზის მოსამსახურეთათვის დაწესდეს განათლების ცენზი. ეხლა გაზეთებს შეუტყვიათ, რომ ასეთ ცენზს 1905 წლიდან შემოიღებენ.

◆ რკინის გზათა უწყებას აზრადა აქვს დააწესოს განსაკუთრებული ფონდი. ფონდის ფულით დაბალ და საშუალო სასწავლებლებში აღზრდიან რკინის გზის იმ მოხელეებად ნამყოფთა შვილებს, რომელნიც შრომის უნარს დაჰკარგავენ.

◆ ამას წინად რუსეთში დაარსდა რკინის ქარხნების სინდიკატი. ახალმა სინდიკატმა მალე იჩინა თავი. სულ რამდენიმე თვე არც კი გასულა, რომ სინდიკატმა რკინეულის ფასი საშინლად ასწია. ის, რაც აქამდე 65 კაპ. ფასობდა, ეხლა 1 მან. 30 კ. იყიდება თურმე.

◆ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს შემოიღოს საშუალო სასწავლებლებში სწავლება ახალ ენებისა—ფრანგულისა, გერმანულისა და ინგლისურის, ისე კი, რომ ამ ენების სწავლება გაკვეთილების დროს არ სწარმოებდეს და არც სავალდებულო იყოს. ახალ ენების სწავლების ნებას არ მისცემენ იმათ, ვინც კარგად ვერ სწავლობს რუსულსა და მათემატიკას. ენები უნდა შეისწავლონ საუბრების შემწეობით, არ უნდა იხმარონ სახელმძღვანელოები. სწავლის ფასი თითო მოსწავლეზე 20 კაპეიკს არ უნდა აღემატოს.

◆ კიშინევში შეუდგნენ ფულის შეგროვებას იმათ სასარგებლოდ, ვინც ებრაელთა აკლებისათვის საპყრობილეში დააპატიმრეს. ჯერ-ჯერობით შესწირეს: კიშინევის ეპისკოპოსმა—500 მანეთი, აკერმანის ეპისკოპოსმა—50 მ., პრონინმა—500 მან., სტეპანოვმა—50 მ., სულ 1100 მან.

◆ პეტერბურგში საზღვარ-გარეთიდან დიდძალი ხალხი აპირობს მისვლას იმ დღესასწაულებზე დასასწრებლად, რომელიც გაიმართება პეტერბურგის დაარსებიდან ორასის წლის შესრულების სახსოვრად. ემზადებიან მისასვლელად პრინცები, ჰერცოგები, გრაფები, მილიონერები და სხვანი.

◆ ამას წინად პერნოვში კრება ჰქონია ხალხის სიფხიზლისათვის მზრუნველ საზოგადოებას. კრებას რამდენიმე ადგილობრივი მემამულეც დაესწრო. ამ სიფხიზლის საზოგადოებისთვის მზრუნველთა კრებას მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიუღია. დაუდგენია, სთხოვოს მთავრობას ნება დართოს პერნოვის მაზრაში გაიხსნას ცხრა ახალი ტრაქტირი, სადაც უნდა შეეძლოთ მაგარ სასმელებით ვაჭრობა.

პრესსა

სამთო ინჟინერი ფონ-დიტმარი გაზეთ „იუჟნი კრაი"-ში არჩევს ფინანსთა სამინისტროს მიერ იმ კანონისა და წესის ახლად შედგენილ პროექტს, რომელთა მიხედვით მრეწველ-მწარმოებლებმა პასუხი უნდა აგონ მუშის დაშავებისა და სიკვდილისა გამო ფაბრიკასა და ქარხნებში მუშაობის დროს. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ მუხლებს, რომლებითაც განსაზღვრულია მწარმოებლის ნივთიერი პასუხის გება. სამინისტროს პროექტით, ეს პასუხის გება ეკისრება მხოლოდ მწარმოებელს, რომლის ფაბრიკასა ან ქარხანაში გაუბედურდა მუშა. საზღაურის რაოდენობა ასეა განაწილებული პროექტში: 1) თუ მუშა ფაბრიკა-ქარხანაში დაშავდა და მოკვდა, ოჯახს უნდა მიეცეს პატრონ-მწარმოებლისაგან 60% იმ სამუშაო ფასისა, რომელიც მუშას ჰქონდა; 2) თუ მუშა იმდენად დასახიჩრდა, რომ მუშაობა სრულიად აღარ შეუძლიან, მაშინ უნდა მიეცეს $^2/_3$; 3) თუ იმდენად დასახიჩრდა, რომ მუშაობა მცირე-ღა შეუძლიან, უნდა მიეცეს $^2/_3$ ნაკლები დაშავების მიხედვით და 4) თუ მუშას დროებით აღარ შეეძლება მუშაობა, პატრონისაგან ეძლევა სამუშაო ფასის ნახევარი. ხსენებულს ავტორს არ მოსწონს ახალი პროექტი. თავდაპირველად ის აღნიშნავს შემდეგს:

> ახალის პროექტით, მწარმოებელნი, რომელთაც 15-ზე ნაკლები მუშა ჰყავთ, პასუხის გების კანონს არ ემორჩილებიან. მაშ ვინ უნდა დააკმაყოფილოს დაშავებული მუშა ან ვინ უნდა უზრუნველ-ჰყოს მომკვდარ მუშის ოჯახი? არავინ: პატარა ქარხნების მუშებს კანონი არ იცავს. იმის გარდა, რომ ეს უსამართლობაა, ახალი წესი ბოროტ-მოქმედებასაც ხშირად გამოიწვევს: მწარმოებელნი ეცდებიან ყოველთვის დაჰმალონ ნამდვილი რიცხვი თავის მუშებისა და 15-ზე ნაკლები უჩვენონ ადმინისტრაციას.

ავტორს არც ის მოსწონს, რომ ნივთიერი პასუხის გება მარტო მრეწველთ აქვს დაკისრებული: იგი, როგორც სხვა კრიტიკოსები ამ პროექტისა, უპირატესობას აძლევს მუშების სახელმწიფო დაზღვევას.

> საჭიროაო, სწერს ფონ-დიტმარი, მრეწველების ხარჯითა და სახელმწიფოს დახმარებით დაარსდეს ყველა ქარხანა-ფაბრიკაში კასსები, რომლებიდანაც ეძლიოთ დაშავებულ მუშებს ან დაობლებულ ოჯახებს განსაზღვრული საზღაური. მრეწველობაში უბედური შემთხვევა, საუბედუროდ, ძნელი ასაცდენია; ხშირად უბედური შემთხვევა არც მუშის ბრალია, არც თვითონ მრეწველ-კაპიტალისტისა, არამედ შედეგია თვით სამრეწველო საქმისა, მის ტეხნიურ, კომერციულ, ადმინისტრატიულ და სხვა ბევრ პირობებისა. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, პასუხის გება სახელმწიფომაც იკისროს და მთელმა მრეწველობამ; ერთ სამრეწველო დარგის მრეწველებმა ან ერთ რაიონის მწარმოებლებმა დაიარსონ ზემოხსენებული კასსები და ურთიერთ თავდებობით პასუხი აგონ უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ მუშათა ან მათ ოჯახთა დასაჯილდოებლად.

წერილი სიღნაღიდან

ამინდი.—ყასბები და მეეტლეები.—ორი მღვდლის დავა.—„კურიოზი".

ორი თვეა ჩვენსკენ რიგიანად არ გამოუდარნია. ამ აპრილშიაც კი თითქმის არ გვინახავს მზე. კვლავ ამ დროს დაყვავილებული ყოფილა ხეხილი, ეხლა-კი მხოლოდ ეკვირტება, თუმცა თუ სეტყვამ არ დაგვსაჯა, დიდი ხილის მოსავალი გვექნება. სიღნაღს რაღაც ყინიანობა დასჩემდა მაინც წელს. ყინიანობს ამინდი, ყინიანობენ უფრო მეტად ყასბები და მეეტლეები. აქამდის თუ თვეში ერთხელ აწესებდნენ ხორცის ნიხრს, ახლა ერთ თვეში ორჯელ გამოაცხადეს, მაგრამ ყასბები ნიხრს არ ემორჩილებიან და როგორც ჰსურთ, ისე ჰყიდიან ხორცს. ხან სულ უხორცოდაც დაგტოვებენ ხოლმე. ჯერ 8 კაპ. განაწესეს ძროხის ხორცი და 12 კაპ. ბატკანი, მერე კიდევ მოუმატეს და 10 კაპ. ძროხის ხორცი გაჰხადეს, ხოლო 15 კაპ. ბატკნისა. მაინც ყასბები 12—15 კაპ. ძროხას ჰყიდიან და 20—25 ბატკნის ხორცს. აქაც დიდი ნდობა და პატივი უნდა ჰქონდეთ დამსახურებული, თორემ ამ ფასებშიაც არ გამოგიჩენენ კარგ ხორცს და კარგადაც შეგიკურთხებენ. ასევე თავხედად იქცევიან მეეტლეებიც. წელს პირველად დააწესეს სიღნაღში ეტლებზე ნიხრი, მაგრამ მეეტლეებმა ძალიან იუკადრისეს ეს წესი და გაიძახიან, თუ ცოცხალი ვართ, ჩვენ მაგას არ დავემორჩილებითო და არც ემორჩილებიან. ჩემი სურვილია და ცხენებს არ შევაბამ ეტლში, თუ წინათვე არ გამორიგდით და რაც მინდა, იმას არ მომცემთო. ჯერ ხნობით მაგრა არიან თავიანთ აზრზე და მგონია ბოლოსაც გაიმარჯვებენ. აქ მხოლოდ საკითხი ის არის, რაღა მნიშვნელობა აქვს აქაურ ნიხრებს და დადგენილებებს, თუ სისრულეში არ მოიყვანენ?

ამას წინად მომრიგებელმა მოსამართლემ ერთი საყურადღებო საქმე გაარჩია. ერთი მღვდელი მეორეს უჩიოდა სულ ის აფიცებს ხალხსაო. უნდა მოგახსენოთ, რომ წინად სასამართლოში ხალხის დაფიცებისათვის მღვდლებს არაფერი ეძლეოდათ. რადგან გასაჭირი იყო დროზე მღვდლის შოვნა, მოსამართლემ სასყიდელი დააწესა. ხსენებული მღვდელი უჩიოდა მეორეს, რომ მეცილება და სულ ის აფიცებს, რადგანაც პირობის ძალით (ერთმანეთში დადებული ჰქონიათ) ჯერ-ჯერით უნდა გვეფიცებინაო. მოსამართლემ მოისმინა მოჩივარის საჩივარი და მოპასუხის პასუხი და დაადგინა ჯერ-ჯერით აფიცონ ხოლმე ხალხი სასამართლოში.

ნაკლებად საყურადღებო არც მეორე საქმეა, ოლქის სასამართლოს სესიის მიერ განხილული. სესია, სხვათა შორის, არჩევდა თავად ვაჩნაძის მიერ სიღნაღის ბოქაულის აფუშკინის შეურაცხყოფის საქმეს. ოლქის სასამართლოს უწყებით, როგორც ბრალდებული, დაბარებული იყო თავადი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ვაჩნაძე, რომელიც სადღაც შორს რკინის გზაზედ მსახურობს მოხელედ. შეუდგნენ საქმის განხილვას და წაიკითხეს საბრალმდებლო აქტი. ალ. ვლ. ვაჩნაძემ განაცხადა, მას საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და იმ დროს არც სიღნაღში ყოფილვარ და არც ვისთვისმე მიწყენინებიაო. რა უბედურებაა, რომ ამ სიშორიდან მომიყვანეს და ხარჯი გამაწევინესო. ბოქაულს ჰკითხეს, ეს არის თუ არა, ვისაც უჩივით. ბოქაულმა და მოწმეთაც განაცხადეს, რომ ეს ის ვაჩნაძე არ არისო. საქმე გამორიცხეს და ვაჩნაძე გაანთავისუფლეს. მხოლოდ ვაჩნაძის თხოვნაზედ, რომ დაეკმაყოფილებინათ იგი და აენაზღაურებინათ ის ზარალი, რომელიც მოუვიდა მოსვლით და ზნეობრივად დამცირებისათვის, უპასუხეს, ჩვენ-კი არ შეგვიძლიან და მიჰმართეთ ბრალმდებელს და ის გადაგახდევინებსო. როგორც აღმოჩნდა შემდეგ, ბრალდებული ყოფილა ალექსანდრე დავითის ძე ვაჩნაძე, რომელიც არც-კი დაებარებინათ და უწყება და საბრალმდებლო აქტიც კი ალექსანდრე ვლ. ვაჩნაძისათვის ჩაებარებინათ, რადგან აქტშიაც ეს ყოფილა მოხსენებული.

პარაკი ასტყდა ინგლისის შერყეულ კრედიტზე. ამ საგნის თაობაზე წერილები ყველა გაზეთებში იბეჭდებოდა, კონსერვატიულ „ტაიმს"-იდან დაწყებული და ულტრა-რადიკალურ „სტარ"-ით გათავებული. ყველანი ერთხმად თხოულობენ, ინგლისის მთავრობამ ფულები დაზოგოს, ყაირათი გასწიოს და პოლიტიკაშიაც დამოუკიდებლად მოიქცესო. კურსის დაცემამ და ვენეცუელის წინააღმდეგ საზღვაო დემონსტრაციამ სამინისტროს ბრმა თაყვანისმცემლებიც კი მოიყვანა ჭკუაზე. „მთავრობამ გერმანიის მილიტარიზმის გამარჯვებულ ეტლს მიაბა ინგლისიო და ჩვენის ხელით ნარსა ჰგლეჯს გერმანელებისათვისო: ესეთი ქცევა არ შეჰშვენის ძველ ჯონ-ბულსაო".

მართალია არ შეჰშვენის, მაგრამ მთავრობას მაინც ასე მიჰყავს საქმე. ვენეცუელის საქმეში ხომ გერმანიის ნება აასრულა ინგლისმა, მაგრამ ჯონ ბული აღმოსავლეთშიაც გერმანიას დაემორჩილა. ეს ცხადად გამოჩნდა ბაღდადის რკინის გზის კონცესსიიდან. არც ერთ პრაქტიკულ საქმეში, არც ერთ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში, ინგლისი ასე არ მოუტყუებიათ და არ გაუბრიყვებიათ, როგორც ამ რკინის გზის აშენების საქმეში. სამინისტროზე ყველას დიდი ჯავრი მოსდით, ფინანსისტების წყრომას ხომ საზღვარი აღარა აქვს. ეს ადვილი გასაგებიცაა. ამ გზამ ხმელთა-შუა ზღვა სპარსეთის ყურეს უნდა შეუერთოს; ამ გზის მიმართულებაზე ბევრ ინგლისელ ინჟინერს უშრომია, ამის მნიშვნელობაზე ხომ ძლიერ ბევრი უწერიათ ინგლისის მწერლებს. დასასრულ ეს გზა იქნება ყველაზე მოკლე და პირდაპირი გზა ინდოეთში. და წარმოადგინეთ, რომ სწორედ ეს გზა ოსმალეთთან ხელშეკრულობის ძალით და ინგლისის დიპლომატიის თანხმობით გერმანიამ ჩაიგდო ხელში!

მართალია, სამინისტრო ირწმუნება, ეს გზა საერთაშორისო იქმნებაო. მაგრამ სამინისტრო ერთმა დოკუმენტმა გაამტყუნა. ეს დოკუმენტი თითონ მთავრობამ კი არ გამოაცხადა, ერთმა ფრანგმა მწერალმა შერადანმა დაბეჭდა თავის წიგნ „ბაღდადის რკინის გზა"-ში. ისე გამოდის, რომ აშენება და ზედამხედველობა სულ გერმანელების ხელში იქმნება. ამ გზას ნაწილ-ნაწილად აშენებენ; კომპანიას უფლება აქვს თითო-თითო ნაწილი ააშენოს რიგზე და არავის არ შეუძლია, საქმე დააჩქარებინოს; კომპანიას ნება აქვს 112 წელიწადი გააჭიანუროს ეს საქმე! შერადანის ანგარიშით, ეს გზა 320-დან 360 მილიონამდე დაჯდება და ოსმალეთის მთავრობამ წელიწადში 14 მილიონი უნდა აძლიოს გზის ასაშენებლად. ეს ფული მთავრობამ ოსმალეთის ნავთსადგურებში უცხოეთიდან შემოსულ საქონელზე უნდა აიღოს, რისთვისაც ეხლანდელი ბაჟი 8%-11%-მდე უნდა ასწიოს.

(დასასრული იქნება)

ია, რამდენი „კურიოზები“ იცის აჩქარებით საქმის დაჭერამ!

პროვინციელი

წერილი ლეჩხუმიდან.

სასტიკ ზამთრის შემდეგ.—ჩხუბი.—ყაჩაღის დაჭერა.

როგორც იყო, ძლივს ზამთრისაგან წელგაწყვეტილ ლეჩხუმიც ბუნების გათბობა-გამოღვიძებას. ბუნებამ მიიღო ისევ ჩვეულებრივი ელფერი მშვენიერ გაზაფხულისა. აყვავდა მცენარეები, ამწვანდა მდელოები და აიმღერა მდინარეები. ხალხიც მუშაობას და ფაცა-ფუცს მიეცა. აპრილი მოულოდნელი მახარობელი იყო. სასტიკ ზამთრისაგან გულ-გატეხილი ხალხი სწუხდა და ეხლა აპრილმა გაახარა.

აღდგომის დღესასწაულებმაც ჩაიარა სმა-ქეიფ-არხეინობით. რაღა თქმა უნდა, უჩხუბრად და უდავიდარაბოდ დღესასწაულებმა არ ჩაიარეს. სხვათა შორის, სოფ. უსახელოში აზნაურმა ხ. უ.-შვილმა ხანჯლით დასჭრა გ—ძე. როგორც გადმოგვცეს, უმსგავსოებების მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამ რამდენისამე წლის წინად. ხ. უ—შვილს შვილი მოჰკვდომია. რასაკვირველია, მიცვალებული დაუსაფლავებიათ, მაგრამ სასაფლაოს მონაწილეები ედავებოდნენ თურმე, რომ ჩვენს ადგილში ასაფლავიაო. რამდენისამე დღის შემდეგ მიცვალებული ამოუთხრია ვიღაცას და იქვე მაღლობზე დაუგდია. ჭირისუფალს გვამი ვეღარ უპოვნია. ამას აბრალებდნენ თურმე ზემო ხსენებულს.

როგორც იყო, ბოლო მოეღო დ. დევდარიანის ლეჩხუმში თარეშს. აღდგომა დილას დევდარიანი დაიჭირა ურიადნიკმა ნინიძემ და წარუდგინა ადგილობრივ პოლიციას.

ლაჯანელი ბანოვანი.

წერილი ოზურგეთიდან

აბრეშუმის თესლის უქონლობა და სიძვირე.—„შუამავლის“ კრება.

შარშან თუ რამდენიმე ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი იყო ოზურგეთში, წელს ათასი ძლივს იქნებოდა შემოწმებული და საღი, რის გამო მეაბრეშუმე ქალთა ორ მესამედზე მეტი წელს უაბრეშუმოდ დარჩა. „ღმერთმა დალუპოს მისი ოჯახი, ვინცხამ ჩვენ დაგვღუპა და ვისი მიზეზითაც უთესლოდ დავრჩით“-ო, ამბობენ ქალები. ჩვენი ხალხის სულის ჩამდგმელი ამხანაგობა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა. დიდი ზარალი მოუტანა იმისმა წარმოების შეჩერებამ გურიის მცხოვრებთ. ზოგიერთმა ვაჭრებმა—თუ კი შეიძლება ვაჭრები ვუწოდოთ იმ გვარ ადამიანებს, რომელნიც გამოსულ თესლს მისხალს ერთ მანეთად ჰყიდიან—ისარგებლეს შემთხვევით, გაჩინეს სადაურიც შეუმოწმებელი თესლი და დაადეს მისხალს ერთი მანეთი.

„შუამავლის“ უკანასკნელი კრება მოხდა 20 აპრილს. კრებაზე ორმოც წევრამდე ძლივს გამოცხადდა. თავი და თავი საქმე კრებისა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდების მიღება იყო. კრებას თავმჯდომარეობდა მიხეილ თუმანიშვილი, რომელმაც დაუხატა კრებას ამხანაგობის მნიშვნელობა და სთქვა: „ბატონებო, ნუ დაუღუპავთ ჩვენს ღარიბ ძმებს, ნუ დაუშლით ამხანაგობას. ეს ამხანაგობა რომ დაიშალოს, მრავალ წლის განმავლობაში ვერავითარი საზოგადო საქმე ფეხს ვერ მოიკიდებს ჩვენშიო“. მაგრამ დანიშნულიდან მოსულმა ათამდე წევრმა გადაჭრით უარი განაცხადეს. „ვერა ბატონო, ვერ მივიღებთ მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებას, რადგან ოცი მანეთი ქე დაგვეკარგა და ეხლა რომ მაგი მივიღოთ, 60 მანეთს კიდევ გადაგვახდევინებენო“. ახალის წესდების ძალით, წევრი წილის ფულს გარდა სამოცის მანეთით არის პასუხის მგებელი. ბევრი თათბირის შემდეგ საქმე კენჭით გადაწყდა და წესდება მიღებულ იქმნა. ამის შემდეგ შეუდგნენ ახალ გამგეობის არჩევას. დაასახელეს ბ-ნი ქუთათელაძე. ბევრი ეხვეწნენ, მაგრამ იმან უარი განაცხადა. ამიტომ კრება 27 აპრილისთვის გადაიდო. ვნახოთ როგორ წავა საქმე.

ნიკა

სასამართლო

გრიგიეს მოკვლა

გუშინ-წინ, 24 აპრილს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე აკოფოვისა და დანელიასი, რომელთაც გრიგიეს მოკვლა ჰბრალდებოდათ. ამ მკვლელობის გარემოება დაწვრილებით უკვე გვქონდა დაბეჭდილი, ამიტომ ეხლა არ გავიმეორებთ. აღნიშნული გვქონდა აგრეთვე საეჭვო საქციელი ერთად-ერთ მოწმის ჩიქოვანისა, რომელიც პოლიციის აგენტი აღმოჩნდა და რომელმაც პირველად აცნობა პოლიციას აკოფოვისა და დანელიას შესახებ. აკოფოვმა ოლქის სასამართლოში განაცხადა, რომ დანელია ამ მკვლელობაში არ ერიაო.

24 აპრილს, პალატაში საქმის გარჩევის დროს, დანელიას დამცველმა, ნაფიცმა ვექილმა ინგისტოვმა განაცხადა, ერთი მოწმე მოვიყვანე და გთხოვთ, გამოჰკითხოთო. პალატამ უარჰყო ეს შუამდგომლობა. დანელიასავე დამცველმა ბ-ნმა პ. ოპოჩინინმა მოითხოვა, საქმე ხელმეორედ გამოძიათ. ამასთან განაცხადა: მოქმედება ოლქის სასამართლოსი, რომელმაც არ შეიწყნარა ვექილის შუამდგომლობა საქმის ხელ-მეორედ გამოძიების შესახებ, რადგან აკოფოვის გულწრფელ გამოტეხით ახალი გარემოებანი დაიბადა, დიდ შეცდომად მიმაჩნია და სასჯელთა დებულების მე-549 მუხლის თანახმად ეს შეცდომა უნდა გასწორდეს. მთელი ბრალდება დანელიას შესახებ აშენებულია გრიგოლ ჩიქოვანის ლიტონ სიტყვებზე, მაშინ, როდესაც აკოფოვის გულწრფელ გამოტეხიდან ჩანს, რომ დამნაშავე ჩიქოვანი ყოფილა. ამ საქმეს მეტის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რომ უდანაშაულო კაცი არ დაიღუპოს და საქმე ხელ-ახლა გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს. ჩიქოვანი, რომლის გამოც უდანაშაულო დანელია იღუპება, მეორე საქმის გამო სამართალშია მიცემული. ვლასოვის თავს დასხმისა და გაძარცვის დროს, როგორც ერთი ბრალდებული გამოტყდა, ჩიქოვანს მეთაურობა გაუწევია.

პალატამ, კარგა ხანს თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ვექილთა შუამდგომლობა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. შემდეგ პალატა არსებითად საქმის განხილვას შეუდგა. ბრალდებულის დანელიას დამცველებმა ბ-ნ ოპოჩინინმა და ინგისტოვმა დიდს ხანს ილაპარაკეს. მოიყვანეს სხვა-და-სხვა მოსაზრებანი იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩიქოვანის ლიტონ ჩვენებას, რომ იმას უნდოდა თავისი თავი დაეძვრინა და ამიტომ დანელიაზე მოუთითა და სხვ. ბრალდებულმა დანელიამ განაცხადა, ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ვარო.

აკოფოვმა ითხოვა სასჯელის შემცირება. იმან განაცხადა, ამ საქმეში ჩემი ამხანაგი და მეთაური იყო გრიგოლ ჩიქოვანი, რომელმაც ბოროტმოქმედების ღამეს მე კარებში სადარაჯოდ დამაყენა და ჩემს ტანისამოსში გამოწყობილი სხვებთან ერთად საავაზაკოდ შეუვარდა ერთს სახლშიო. პალატამ, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, კატორღა გადაუწყვიტა ბრალდებულთ: აკოფოვს—20, დანელიას—15 წლით.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ პასუხს თქვენს გაზეთში.

თქვენის გაზეთის მე-3102 №-ში დასტამბულია კორესპონდენცია სოფ. მეჯვრისხევიდან. წერილის ავტორი, „სტუმარი“, მამტყუნებს წინაშე საზოგადოებისა, რომ მეჯვრისხევის სამკითხველოს მეთაურობა მე, ადგილობრივ მღვდელსა, მქონდა ჩაბარებული, რომ სამკითხველო მოქმედებდა ცოტა ხანს და შემდეგ არ ვიცით, რა სნეულებამ შეუდგა ბოლო, როგორ მოხდა, რომ მ. სამხარაძემ საქმე ვერ დააყენა ღონეზედ და სხვა.

მართალია, რამდენმამე პირმა ქრისტეშობისთვის 19-ს 1899 წელს, წინააღმდეგ ჩემის სურვილისა, დამაკისრა სამკითხველოს მეთაურობა, გარდამომცა სამკითხველოს წევრთა სია, რომელთაც უნდა შეეგროვებინა 225 მანეთი. შევუდექი საწევრო ფულის შეგროვებას; როგორც იყო, დიდის გაჭირვებით და ხვეწნა-მუდარით შევაგროვე 25 მანეთი და ექვსი თვით გამოვიწერე 1900 წლისათვის „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და ერთი ყოველ დღიური ქართული გაზეთი. სანამ ამ გაზეთების ფული გადაიხდებოდა, დანარჩენ წევრებს მოვსთხოვე საწევრო ფული, მაგრამ იმათ უარი მითხრეს. რადგან გულის შემატკივარი არავინ გამოუჩნდა სამკითხველოს, არც სამკითხველოს წიგნები და ნივთები ჩამაბარა ვინმემ, მეც უფულოდ რა უნდა მექმნა, მივატოვე სამკითხველო და ამაზე 1900 წელს, 8 ქრისტეშობისთვეს წერილობით ვაცნობე იმათ, ვინც დამაკისრეს სამკითხველოს გამგეობა. შემდეგ ამისა რა გზა მისცეს სამკითხველოს, ვინ გამოუჩნდა გულის შემატკივარი, მე არა ვიცი-რა.

ასე იყო საქმე და მიკვირს, ბ-ნო სტუმარო მე რადა მდებს ბრალს!

მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი ჯარებს არ დაათვალიერებს.

ასხაბადი. მდინარე ტეჯენი ადიდდა და მიდამოები წალეკა. რკინის გზის სადგური და სხვა შენობა, დაბალ ადგილებზე გაშენებული, წყლის ქვეშ არიან. მატარებლების მიმოსვლა შეწყდა. წყალი ისე ძლიერად მოდიოდა, რომ ალიზიდან გაკეთებული სახლები დაინგრა და მცხოვრებლებმა ძლივს უშველეს თავს. ზარალი მეტად დიდია. წყალი კიდევ მატულობს.

მადრიდი. მთავრობას არ მიუღია ცნობა ტახტის მაძიებლის სიკვდილის შესახებ.

რომი. გარეშე საქმეთა მინისტრი მორინი სადარბაზოდ იყო დღეს გრაფ ბიულოვთან. იტალიის მეფემ თავისი სურათი უბოძა ბიულოვს.

25 აპრილი.

ოდერბერგი. ვენის გაზეთები იუწყებიან, რომ უსკიუბში ორი ბოლგარელი მასწავლებელი და 1 მღვდელი დაატუსაღეს. ესენი ჯარების წინაამდეგ იბრძოდნენ. დაატუსაღეს ბოლგარელი მღვდლები, რომელთაც მუდლებისა და ოსმალთა ოფიცრების ტანისამოსი ეცვათ. 12 ბატალიონი დასავლეთს წავიდა.

სოფია. პოლიცია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მაკედონელთა ფარულ მოქმედებას. პოლიციამ სოფიასთან ახლოს ეტლი დაიჭირა თოფებით, რევოლვერებით და პატრონებით დატვირთული.

— გაბროვო-არჯევოსთან მომხდარ შეტაკებაში მოკლულ იქმნენ მაკედონელნი: პორუჩიკი სუკაროვი, პოდპორუჩიკი მილევი და ვოევოდა სოფრონ სტოიანოვი. შეტაკებას ოსმალების მხრივ გერმანელთა ოფიცრები დაესწრნენ მაყურებლებად.

დონის როსტოვი. 24 აპრილს ტაგანროგის ოლქის სასამართლოს სესსია შეუდგა საყურადღებო საქმის განხილვას. შარიამ იხენკოვს და სხვებს ჰბრალდებათ თავიანთ თავის დასახიჩრება პრემიის მისაღებად დამზღვევ საზოგადოებისაგან.

კონსტანტინოპოლი. მეამბოხეთა მეთაური ცონჩევი მოჰკლეს.—სალონიკში დაჰკეტეს ყველა სასწავლებლები. დირექტორები და ინსპექტორები დააპატიმრეს, სხვა ადგილებში დააპატიმრეს მრავალი ბოლგარელი მასწავლებელი. ბოლგარიის დიპლომატიის აგენტმა ორჯერ გამოუცხადა პროტესტი პორტას პოლიციის მოქმედების წინაამდეგ.

ლონდონი. გამოვიდა ტრანსვაალის სესხი. განაღდებულია ცამეტი მილიონი.—ცნობა მეფის მიერ შემოდგომაზე ბერლინის და ვენის ნახვაზე ნაადრევია.

კონსტანტინოპოლი. სოფელ კრაპეშტის ახლო, მონასტირის ვილაიეტში, შეტაკება მოხდა ბოლგარელებთან. მოჰკლეს წინამძღოლი და 5 ჩეტის წევრი.—ევროპის ვილაიეტში ხალხის დაპატიმრება და ჩხრეკა გრძელდება. უსამართლოთ ამბობენ, რომ პოლიციის მოხელეები იმიტომ აპატიმრებენ ხალხს, რომ ფული გამოსტყუონ მდიდარ მოქალაქეებსო.

პეტერბურგი. უმაღლესად ებოძათ ორდენები: წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხისა—ეკატერინოსლავის გუბერნატორს; წმ. ანნას პირველი ხარისხისა—ტავასტგუსის გუბერნატორს; წმ. სტანისლავის პირველი ხარისხისა—მოსკოვის ობერპოლიცმეისტერს ტრეპოვს; ბრილიანტის ბეჭედი—ლანდ-სეკრეტარს ნიულანდის გუბერნიისას რეინბოტს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,70	
ბირჟის დისკონტი	5—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$98\frac{3}{8}$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$100\frac{3}{4}$	მყიდვ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$95\frac{3}{8}$	„
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$435\frac{1}{2}$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$335\frac{1}{2}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	800	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$91\frac{1}{2}$	„
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	200	„

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს; 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 01 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—37)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოლემა ბაზანსი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხლა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)